ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ოქმი:**ო42.42211371**

თარიღი:**17/05/2021**

თათბირს ესწრებოდნენ: მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი, დარგობრივი სამსახურის ხელმძღვანელები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის წევრები.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვასილ თოდუამ თათბირის მონაწილეებს გააცნო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 26 თებერვლის №42.42210575 ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდრით განსაზღვრული აქტივობების მიმდინარეობა და აღნიშნა, რომ კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შედგა დაგვიანებით. ვ. თოდუამ აღნიშნა, რომ პრიორიტეტები უნდა დახარისხდეს, რისთვისაც აუცილებელია სიტუაციური ანალიზისა და მოქალაქეთა კვლევის შედეგების გათვალისწინება.

მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფს გააცნო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების (უბნების მიხედვით) მიერ წარმოდგენილი მოქალაქეთა კვლევის შედეგები და აღნიშნა, რომ მოსახლეობა დადებითად აფასებს გასულ წელს განხორციელებულ პროგრამებს, განსაკუთრებით სოციალურ პროგრამებს, დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

მოქალაქეთა აზრით, მომავალ წლებში, პრიორიტეტული სფერო კვლავ სოციალური სფეროა. ასევე, მიზანშეწონილად თვლიან საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ახალი გამწვანების ზონების შექმნას, ეზოების კეთილმოწყობას, წყალგადამქაჩი სატუმბების გამართულ ფუნქციონირებას.

აზრი გამოთქვეს: სამუშაო ჯგუფის წევრებმა - მაია მაკალათიამ, იაგორ რომანაშვილმა, დავით ჯგერენაიმ, უბნებში მერის წარმომადგენლებმა, რომლებმაც განიხილეს 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამები, ქვეპროგრამები, ღონისძიებები. აღნიშნეს დადებითი მხარეები. ამასთანავე, ყურადღება გაამახვილეს მათი მართვისას გამოვლენილ ხარვეზებზე. სამუშაო ჯგუფის წევრებმა, ასევე, განსახილველად წარმოადგინეს ახალი, პრიორიტეტული პროგრამები, ქვეპროგრამები და ღონისძიებები.

თათბირი შეაჯამა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ. მან თათბირის მონაწილეებს გააცნო კონკრეტული მოსაზრება ზოგიერთი ახალი, პრიორიტეტული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების, ინფრასტრუქტურული პროექტების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ. მერმა აღნიშნა, აუცილებელი პირობაა ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის შენიშვნებისა და შეფასების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის წევრებზე გაიცა შემდეგი დავალებები:

1. 5 ივნისამდე საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უზრუნველყოს მოქალაქეებიდან წინადადებების მიღება ელექტრონულად, რათა დადგინდეს რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.

2. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა (უბნების მიხედვით) უზრუნველყონ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვაში მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობა და შეჯერებული პროექტების წარმოდგენა.

3. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ვადების დაცვა.

4. სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეკრება დაიგეგმოს 2021 წლის 5 ივნისს.

გოჩა კურდღელია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი